

შპს ალგი +

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3
სრული შემოსავლების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.....	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	6
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. სააღრიცხვო პოლიტიკა	8
4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ	13
5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	14
6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	14
7. მარაგები	14
8. ძირითადი საშუალებები	15
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
10. მიღებული სესხები და გადასახდელი პროცენტი	16
11. გადავადებული საგრანტო შემოსავალი	16
12. ამონაგები	17
13. სხვა შემოსავლები	17
14. მიწოდების დანახარჯები	17
15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	17
16. სხვა ხარჯები	18
17. ფინანსური ხარჯი	18
18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	18
19. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ	19

შპს ალგი +

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	5	140,585	148,639
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	370,369	199,339
მარაგები	7	1,236,139	804,224
სხვა მოკლევადიანი აქტივები		11,994	14,230
		1,759,087	1,166,432
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	569,252	445,052
არამატერიალური აქტივები		1,064	4,382
		570,316	449,434
მთლიანი აქტივები		2,329,403	1,615,866
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	1,428,286	539,630
საგადასახადო ვალდებულებები		38,770	42,482
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	10	25,237	145,755
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		7,260	5,936
		1,499,553	733,803
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	39,290	-
გადავადებული საგრანტო შემოსავალი	11	-	12,257
		39,290	12,257
მთლიანი ვალდებულებები		1,538,843	746,060
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		218,023	99,828
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		572,537	769,978
		790,560	869,806
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		2,329,403	1,615,866

დირექტორი _____

ალექსანდრე დადიანიძე

7-19 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ალგი +

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ტარბელ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	5	140,585	148,639
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	370,369	199,339
მარაგები	7	1,236,139	804,224
სხვა მოკლევადიანი აქტივები		11,994	14,230
		1,759,087	1,166,432
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	569,252	445,052
არამატერიალური აქტივები		1,064	4,382
		570,316	449,434
მთლიანი აქტივები		2,329,403	1,615,866
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	1,428,286	539,630
საგადასახადო ვალდებულებები		38,770	42,482
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	10	25,237	145,755
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		7,260	5,936
		1,499,553	733,803
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	39,290	-
გადავადებული საგრანტო შემოსავალი	11	-	12,257
		39,290	12,257
მთლიანი ვალდებულებები		1,538,843	746,060
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		218,023	99,828
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		572,537	769,978
		790,560	869,806
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		2,329,403	1,615,866

დირექტორი

სერგო კახიძე

ალექსანდრე დადიანიძე

7-19 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ალგი +

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	2021 წელი	2020 წელი
ამონაგები	12	3,486,226	2,072,464
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(2,966,274)	(1,319,592)
საერთო მოგება		519,952	752,872
სხვა შემოსავლები	13	49,606	375
მიწოდების დანახარჯები	14	(7,696)	(3,624)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	15	(726,619)	(414,301)
სხვა ხარჯები	16	(6,962)	(744)
მოგება/(ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან		(33)	252
საოპერაციო მოგება		(171,752)	334,830
ფინანსური ხარჯი	17	(25,689)	(12,327)
მოგება დაბეგვრამდე		(197,441)	322,503
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება		(197,441)	322,503

დირექტორი

ალექსანდრე დადიანიძე

7-19 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ალგი +
ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	2021 წელი	2020 წელი
ამონაგები	12	3,486,226	2,072,464
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(2,966,274)	(1,319,592)
საერთო მოგება		519,952	752,872
სხვა შემოსავლები	13	49,606	375
მიწოდების დანახარჯები	14	(7,696)	(3,624)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	15	(726,619)	(414,301)
სხვა ხარჯები	16	(6,962)	(744)
მოგება/(ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან		(33)	252
საოპერაციო მოგება		(171,752)	334,830
ფინანსური ხარჯი	17	(25,689)	(12,327)
მოგება დაბეგვრამდე		(197,441)	322,503
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება		(197,441)	322,503

დირექტორი

ალექსანდრე დადიანიძე

ალექსანდრე დადიანიძე

7-19 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ალგი +

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	2021 წელი	2020 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები	3,464,900	1,951,866
ფულადი სახსრების სხვა შემოსვლები	6,731	7,588
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(2,789,096)	(1,683,407)
თანამშრომლებზე გადახდილი თანხები	(415,951)	(262,658)
ფულადი სახსრების სხვა გასაღებები	(248)	(208)
ბიუჯეტში გადახდილი სხვა თანხები	(157,282)	(55,686)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	109,054	(42,505)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(178,344)	(17,049)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(178,344)	(17,049)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა	196,605	192,155
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(78,410)	(93,050)
სასესხო ვალდებულების ზრდა	149,990	-
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(181,228)	(85,681)
გადახდილი პროცენტები	(25,689)	(10,333)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	61,268	3,091
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ნეტო ზრდა	(8,022)	(56,463)
არარეალიზებული მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში	(32)	-
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	148,639	205,102
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	140,585	148,639

დირექტორი _____

ალექსანდრე დადიანიძე

7-19 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ალგი +

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	2021 წელი	2020 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები	3,464,900	1,951,866
ფულადი სახსრების სხვა შემოსვლები	6,731	7,588
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(2,789,096)	(1,683,407)
თანამშრომლებზე გადახდილი თანხები	(415,951)	(262,658)
ფულადი სახსრების სხვა გასაღები	(248)	(208)
ბიუჯეტში გადახდილი სხვა თანხები	(157,282)	(55,686)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	109,054	(42,505)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(178,344)	(17,049)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(178,344)	(17,049)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა	196,605	192,155
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(78,410)	(93,050)
სასესხო ვალდებულებების ზრდა	149,990	-
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(181,228)	(85,681)
გადახდილი პროცენტები	(25,689)	(10,333)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	61,268	3,091
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ნეტო ზრდა	(8,022)	(56,463)
არარეალიზებული მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში	(32)	-
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	148,639	205,102
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	140,585	148,639

დირექტორი

სერგეი ალექსანდრე

ალექსანდრე დადიანიძე

7-19 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ალგი +

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2019	723	447,475	448,198
კაპიტალის ზრდა	192,155	-	192,155
კაპიტალის შემცირება	(93,050)	-	(93,050)
პერიოდის მოგება	-	322,503	322,503
გაცემული დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 31.12.2020	99,828	769,978	869,806
კაპიტალის ზრდა	196,605	-	196,605
კაპიტალის შემცირება	(78,410)	-	(78,410)
პერიოდის მოგება	-	(197,441)	(197,441)
გაცემული დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 31.12.2021	218,023	572,537	790,560

დირექტორი

ალექსანდრე დადიანიძე

7-19 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ალგი +
ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

**საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის**

(თანხები მოცემულია ლარში)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2019	723	447,475	448,198
კაპიტალის ზრდა	192,155	-	192,155
კაპიტალის შემცირება	(93,050)	-	(93,050)
პერიოდის მოგება	-	322,503	322,503
გაცემული დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 31.12.2020	99,828	769,978	869,806
კაპიტალის ზრდა	196,605	-	196,605
კაპიტალის შემცირება	(78,410)	-	(78,410)
პერიოდის მოგება	-	(197,441)	(197,441)
გაცემული დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 31.12.2021	218,023	572,537	790,560

დირექტორი

ალექსანდრე დადიანიძე

ალექსანდრე დადიანიძე

7-19 გვერდებზე მოცემული აბსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ალგი + (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2006 წლის 8 დეკემბერს. კომპანიის მფლობელები არიან: ფ/პ გიორგი შოშიაშვილი 50% და ფ/პ ალექსანდრე დადიანიძე 50%.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: თევზის, კიბოსნაირების და მოლუსკების გადამუშავება და დაკონსერვება, თევზჭერა მტკნარ წყლებში, რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები, საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, უპირატესად საკვები პროდუქტებით, სასმელებით ან თამბაქოს ნაწარმით.

კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია საქართველო, გორი, ს. კარალეთი, რაც აგრეთვე წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის ძირითად ადგილს.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

კომპანიას გააჩნია დადებითი საბრუნავი კაპიტალი, კომპანიის მთლიანი აქტივები აჭარბებს მთლიან ვალდებულებებს. კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას და კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა.

აღნიშნული ფაქტორების შეფასების საფუძველზე ხელმძღვანელობა თვლის, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

ოპერაციები და ნაშთები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსათვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში, „მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან-წმინდა“.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები, რომლებიც აისახება თავდაპირველი ღირებულებით, კონვერტირდება ტრანზაქციის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	15-20
მანქანა-დანადგარები	7-10
ოფისის აღჭურვილობა	3-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-5

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც 10 წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი ჩაირთვება ადმინისტრაციულ ხარჯებში.

არამატერიალური აქტივების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი არამატერიალური აქტივების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო გადასახადსა და სხვა აუნაზღაურებელ გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვის დანახარჯებსა და ნებისმიერ სხვა პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს.

თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია ძირითად საშუალებებს და არამატერიალური აქტივებისათვის ამოწმებს ხომ არ არსებობს გაუფასურების ნიშნები. თუ ამგვარი ნიშნები არსებობს დგინდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) აღდგენითი ღირებულება. აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში რეალიზებული საქონლის თვითღირებულების მუხლში.

როდესაც ხდება გაუფასურების ზარალის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მის აღდგენითი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებულ ფულს.

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა მოხდეს განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

გრანტები

სახელმწიფო გრანტები აღიარდება მიღებული ან მისაღები აქტივის რეალური ღირებულებით. გრანტი, რომელიც არ მოითხოვს მომავალში გრანტის მიმღებისგან გარკვეული პირობების შესრულებას, შემოსავალში აღიარდება მაშინ, როდესაც გრანტი მიღებულია ან მისაღებია. გრანტი, რომელიც ითვალისწინებს მომავალში გრანტის მიმღებისგან გარკვეული პირობების შესრულებას, შემოსავლად მხოლოდ მას შემდეგ აღიარდება, როდესაც გრანტის ყველა პირობა შესრულდება. შემოსავლად აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილებამდე მიღებული სახელმწიფო გრანტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია, როგორც განცალკევებული ვალდებულება.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს საქონლის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დაბრუნებული თანხების, გადასახადებისა და მოსაკრებლების და სავაჭრო ფასდათმობისა და მოცულობის გამო ფასდაკლების გამოკლებით.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის.

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადით დაბეგვრა ხდება მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს 15%-ს. მოგების გადასახადით ხდება ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

დივიდენდების განაწილების გარდა მოგების გადასახადი გადაიხდება იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან, აღნიშნული გადასახადი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში სხვა ხარჯების მუხლში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად გადასახადების გადახდა ხდება გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2021 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი. ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების ამოღება. ამ

რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ექვეყნებინათ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

შპს ალგი +

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შემოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდის მოიცვას.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

<i>(თანხები მოცემულია ლარში)</i>	31.12.2021	31.12.2020
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	19,800	330
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	120,384	148,309
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	401	-
სულ	140,585	148,639

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

<i>(თანხები მოცემულია ლარში)</i>	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო მოთხოვნები	356,443	185,356
გაცემული ავანსები	13,926	13,983
სულ	370,369	199,339

სავაჭრო მოთხოვნები არ არის გაუფასურებული.

7. მარაგები

<i>(თანხები მოცემულია ლარში)</i>	31.12.2021	31.12.2020
ნედლეული და მასალები	96,283	60,731
მზა პროდუქცია	1,133,714	715,481
სხვა მარაგები	6,142	28,012
სულ	1,236,139	804,224

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 2,966,274 ლარი (2020 წელს 1,319,592 ლარი). მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალმა შეადგინა 0 ლარი (2020 წელს 0 ლარი).

შპს ალგი +

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

8. ძირითადი საშუალებები

<i>(თანხები მოცემულია ლარში)</i>	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და მოწყობილობები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სულ
თვითღირებულება							
31 დეკემბერი 2020	123,340	-	289,195	82,925	9,406	8,472	513,338
შემოსვლა	-	151,788	-	18,143	3,420	7,803	181,154
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	123,340	151,788	289,195	101,068	12,826	16,275	694,492
ცვეთა და გაუფასურება							
31 დეკემბერი 2020	-	-	(44,435)	(18,904)	(1,458)	(3,489)	(68,286)
პერიოდის ცვეთა	-	-	(20,465)	(25,256)	(6,474)	(4,759)	(56,954)
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	-	-	(64,900)	(44,160)	(7,932)	(8,248)	(125,240)
ნეტო საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2020	123,340	-	244,760	64,021	7,948	4,983	445,052
31 დეკემბერი 2021	123,340	151,788	224,295	56,908	4,894	8,027	569,252

შპს ალგი +

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

<i>(თანხები მოცემულია ლარში)</i>	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო ვალდებულებები	1,428,286	539,630
სულ	1,428,286	539,630

10. მიღებული სესხები და გადასახდელი პროცენტი

<i>(თანხები მოცემულია ლარში)</i>	31.12.2021	31.12.2020
მოკლევადიანი სესხები		
მოკლევადიანი სესხები	25,237	143,761
გადასახდელი პროცენტი	-	1,994
სულ მოკლევადიანი სესხები	25,237	145,755
გრძელვადიანი სესხები		
გრძელვადიანი სესხები	39,290	-
სულ გრძელვადიანი სესხები	39,290	-
სულ სესხები	64,527	145,755

ჯგუფის გრძელვადიან სესხებს წარმოადგენს ბანკებისგან მიღებული სესხები, რომლებიც დენომინირებულია ლარში. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 14.5% - 15%-ს. სესხები დასაფარია 2023 წლის ბოლომდე. სესხები არ არის უზრუნველყოფილი.

11. გადავადებული საგრანტო შემოსავალი

გადავადებული საგრანტო შემოსავალი 2020 წლის ბოლოს დაკავშირებულია სოფლის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ სესხის პროცენტის სუბსიდირებასთან. საგრანტო ხელშეკრულების პირობები შესრულდა 2021 წლის განმავლობაში და აღიარებულ იქნა საგრანტო შემოსავალი.

შპს ალგი +

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

12. ამონაგები

<i>(თანხები მოცემულია ლარში)</i>	31.12.2021	31.12.2020
საქონლის რეალზაციიდან მიღებული ამონაგები	3,486,226	2,072,464
სულ	3,486,226	2,072,464

13. სხვა შემოსავლები

<i>(თანხები მოცემულია ლარში)</i>	31.12.2021	31.12.2020
საშემოსავლო გადასახადის შეღავათი	27,719	-
საიჯარო შემოსავალი	15,000	255
საგრანტო შემოსავალი	6,887	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	-	120
სულ	49,606	375

14. მიწოდების დანახარჯები

<i>(თანხები მოცემულია ლარში)</i>	31.12.2021	31.12.2020
მარკეტინგის და რეკლამის ხარჯი	(7,696)	(3,624)
სულ	(7,696)	(3,624)

15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

<i>(თანხები მოცემულია ლარში)</i>	31.12.2021	31.12.2020
შრომის ანაზღაურება	(545,279)	(250,595)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(56,954)	(19,648)
რემონტის ხარჯი	(8,347)	(42,869)
ავტომობილების საექსპლუატაციო ხარჯები	(2,178)	(1,819)
ტრასპორტირების ხარჯი	(275)	(9,032)
საბანკო ხარჯი	(26,109)	(10,331)
დაცვის ხარჯი	(1,525)	(1,525)
კომუნიკაციის ხარჯი	(1,320)	(1,017)
საკონსულტაციო ხარჯი	(14,472)	(25,983)
საკანცელარიო ხარჯი	(1,677)	(2,546)
კომუნალური ხარჯები	(55,336)	(35,574)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	(1,816)	(398)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(11,331)	(12,964)
სულ	(726,619)	(414,301)

შპს ალგი +

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

16. სხვა ხარჯები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2021	31.12.2020
ჯარიმები	(248)	(594)
გაფუჭებული მარაგის ჩამოწერა	(6,714)	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-	(150)
სულ	(6,962)	(744)

17. ფინანსური ხარჯი

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2021	31.12.2020
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(25,689)	(12,327)
სულ ფინანსური დანახარჯები	(25,689)	(12,327)

18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან: ფ/პ გიორგი შოშიაშვილი 50% და
ფ/პ ალექსანდრე დადიანიძე 50%.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

სხვა დაკავშირებული მხარეები	ფინანსური ანგარიშგების მუხლი	2021	2020
(თანხები მოცემულია ლარში)			
საქონლის მიწოდება	ამონაგები	78,754	165,418
მომსახურების გაწევა	სხვა შემოსავალი	15,000	-
ნედლეულის და მასალების შეძენა	მარაგები	2,755,531	934,412
სულ		2,849,285	1,099,831

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები განხორციელდა საბაზრო პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:

(თანხები მოცემულია ლარში)	ფინანსური ანგარიშგების მუხლი	31.12.2021	31.12.2020
სხვა დაკავშირებული მხარეები	სავაჭრო დებიტორული დავალიანება	261,936	165,418
სხვა დაკავშირებული მხარეები	სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	1,242,182	388,725

შპს ალგი +

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

დაკავშირებული მხარეების მიმართ მოთხოვნის დაფარვის ვადა განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული რეალიზაციისას შეთანხმების საფუძველზე. მოთხოვნა არ არის უზრუნველყოფილი და არ ერიცხება საპროცენტო სარგებელი. 2021 წელს მოთხოვნასთან დაკავშირებით უიმედო ან საექვო ვალების ხარჯები არ აღიარებულა (2020 წელს 0 ლარი).

დაკავშირებული მხარეების მიმართ ვალდებულების დაფარვა ხდება შეთანხმების საფუძველზე ინდივიდუალური გრაფიკით. ვალდებულებას არ ერიცხება საპროცენტო ხარჯები.

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2021	31.12.2020
შრომის ანაზღაურება მთლიანად	133,921	83,125
სულ	133,921	83,125

19. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

2021 წლის 31 დეკემბრიდან ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე პერიოდში კომპანიამ ძირითადი საშუალებების შეძენა/შექმნაზე გასწია 144,000 ლარის ოდენობის დანახარჯი.